

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს


მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ კომისიის 2017 წლის 12 აპრილის N40 სხდომის ოქმს,
კომისიის დასკვნას, კომისიის წევრების სარეგისტრაციო ფურცელს.
დანართი-12 (თორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

რომან ბიწაძე



კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N40

ლანჩხუთი

12.04.2017 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რ.ბიწაძე, გ.კერესელიძე, ა.ქანთარია,
ი.სარჯველაძე, ა.ხუხუნაიშვილი.
არ ესწრებოდა: კ.ასკურავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა რ.ბიწაძე.

დღის წესრიგი

1. ჯემალ დობორჯგინიძისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.
2. დავით ასკურავასთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.
3. რევაზ როყვასთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.
4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსის რიცხული) ქონების ინვეტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.
5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში

ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქუჩა N62-ში მცხოვრებ თამარ დავითის- ასული ჭეიშვილის განცხადების შესახებ.

7. ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების შესახებ.

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

10.სხვადასხვა.

რ.ბიწამემ კომისიას გააცნო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი საზოგადოება „სამებას“ წერილი თანდართული დოკუმენტებით ჯემალ დობორჯგინიძისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

რ.ბიწაძემ კომისიას გააცნო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი საზოგადოება „სამებას“ წერილი თანდართული დოკუმენტებით დავით ასკურავასთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

რ.ბიწაძემ კომისიას გააცნო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დაქვემდებარებაში არსებულ „კულტურის ცენტრის“ თანამშრომლების წერილი თანდართული დოკუმენტებით რევაზ როყვასთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

რ.ბიწაძემ კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსის რიცხული) ქონების ინვეტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

რ.ბიწაძემ კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

რ.ბიწაძემ კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქუჩა N62-ში მცხოვრებ თამარ დავითის- ასული ჭეიშვილის განცხადების თაობაზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ.ლანჩხუთში კოსტავას ქუჩა N62-ში მცხოვრებ თამარ დავითის-ასული ჭეიშვილის განცხადება (N110.09.03.2017წელი) რომლითაც განმცხადებელი მოითხოვს მისი დისთვის, (დღეის მდგომარეობით გარდაცვლილი. გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი თან ერთვის), მადონა დავითის -ასული ჭეიშვილისთვის სამკურნალო-საოპერაციო თანხით დახმარებას და დახმარებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის უარის თქმის საბაზის გარკვევას.

საქმის შესწავლიდან გარკვეულია და დადასტურებულია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ სამსახურში 2017 წლის 7 თებერვალს შევიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქ ლანჩხუთში კოსტავას ქუჩა N62-ში მცხოვრებ თამარ ჭეიშვილის განცხადება თანდართული სრულყოფილი დოკუმენტაციით და მოითხოვდა მისი დისთვის მადონა ჭეიშვილისადმი სამკურნალო-საოპერაციო თანხით დახმარებას. დადასტურებულია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის N765 წერილით განმცხადებელს უარი ეთქვა ფულადი დახმარების გაცემაზე იმ მოტივით თითქოს ბენეფიციარის საცხოვრებელი ადგილის მისამართით „მადონა ჭეიშვილი არ არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მცხოვრები“.

ჩვენს მიერ საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს გაეგზავნა სავსებით ლეგიტიმური კითხვები, რომლებზედაც სამწუხაროდ ვერ მივიღეთ არათუ დამაჯერებელი, არამედ სამართლებრივად სწორი პასუხები. (თან ერთვის)

დადასტურებულია, რომ მადონა ჭეიშვილის სამკურნალო მიზნით, დროებით ქალაქ თბილისში ყოფნა სამკურნალო-საოპერაციო ხარჯების დაფინანსების დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ ჩაითვლება რადგან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური კეთილი ნების და კანონის დაცვის შემთხვევაში ადვილად დარწმუნდებოდა, რომ მოქალაქე მადონა ჭეიშვილი იყო რეგისტრირებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კოსტავას ქუჩა N62-ში. ამის გადამოწმება ადვილად შეეძლო დასახელებულ სამსახურს თუ გამოითხოვდა სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან შესაბამის განცხადებას-ანკეტის (ფორმა N1) ასლს, ან გადამოწმებდა მადონა ჭეიშვილის მონაცემებს ერთიან ამომრჩეველთა ბაზაში, სადაც მიმდინარე წლის პირველი თებერვლის მდგომარეობით მადონა ჭეიშვილი არის საქართველოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქალაქ ლანჩხუთის, მერაბ კოსტავას ქუჩა N56(ყოფ. ჟორდანია ქუჩა) მცხოვრები.

დადასტურებულია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ არ აძლევდა უფლებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ სამსახურს უარი ეთქვა განმცხადებელისთვის, რადგან განმცხადებელს დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე შეტანილი ქონდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილების მოთხოვნების სრული დაცვით. საკრებულოს დადგენილება ნორმატიული-სამართლებრივი აქტია, ხოლო საკრებულოს განკარგულება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია: 1. დაკმაყოფილდეს თამარ ჭეიშვილის განცხადება და აუნაზღაურდეს სამკურნალო დაწესებულებას შესაბამისი ხარჯები არსებული წესის თანახმად.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დროული რეაგირება მოახდინოს შესაბამის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

რ.ბიწაძემ კომისიას გააცნო ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების თაობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების განცხადება (N128.20.03.2017წ) რომლითაც განმცხადებლები ეჭვის ქვეშ აყენებენ ა(ა)ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ უარყოფით დასკვნას ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში აწ/გარდაცვლილი ზაზა სულაბერიძის მემორიალური მუზეუმის შექმნასა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაქვემდებარებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საქმის შესწავლიდან გარკვეულია და დადასტურებულია, რომ ა(ა)ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში 2016 წლის 18 ნოემბერს შევიდა ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგის N1350 განცხადება ზაზა სულაბერიძის მემორიალური მუზეუმის შექმნის და მისი

მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის დაქვემდებარების მოთხოვნით. კომისიის მიერ, ასევე შესწავლილია და დადასტურებულია, რომ ა(ა)ი.პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“-მ, დირექტორის ბრძანებით ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი კომისიის წევრების მოსაზრებებისა და მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სავსებით დასაბუთებულად 2017 წლის 5 იანვრის N2 წერილით უარყო იდეა ზ.სულაბერიძის მემორიალური მუზეუმის შექმნის თაობაზე, რომელიც დაქვემდებარებაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმს უნდა გადაცემოდა. ამდენად, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების პრეტენზია თითქოს კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებამ „არაკომპეტენტურად განიხილა აღნიშნული საკითხი და დადო დასკვნა, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს“, ელემენტარულად არასამართლიანი და უსაფუძვლოა, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად ა(ა)ი.პ. წარმოადგენს იურიდიული პირის განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც მკვეთრად შეზღუდულია ფინანსური (და არა მარტო) თავისუფლების თვალსაზრისით და არა აქვს უფლება დამფუძნებელთან შეუთანხმებლად გაზარდოს საკუთარი ვალდებულებები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. საკითხის სენსიტიურობიდან და სფეროში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე შეწყდეს ხელაღებითი დისკუსია იმის თაობაზე, რომ შემთხვევა გვაქვს „კულტურულ მემკვიდრეობასთან“ და „800-მდე სამუზეუმო ექსპონანტთან“, რომ „ოჯახი თანახმაა საგამოფენო ოთახი(16 კვ.მ) თავისივე ნაკვეთით (500კვ.მ) დაექვემდებაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს“, რადგან ზემოდაღნიშნული უპირველეს ყოვლისა აკნინებს არამარტო სამუზეუმო საქმიანობის და თვითმმართველობის პრესტიჟს, არამედ საფრთხეს უქმნის ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის ცნების გაგებას და იდეას პატივი მივაგოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ადამიანების ღვაწლს;

2. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი დაეთანხმება ზაზა სულაბერიძის სამუზეუმო ექსპონანტად აღიარებული ნივთების ერთობლიობა გადაეცეს მუზეუმს, ა(ა)ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებამ“ გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებთან კონსულტაციის გზით გადაწყვიტოს მათი განთავსების ადგილი.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

რ.ბიწამემ კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

რ.ბიწამემ კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა

კომისიის თავმჯდომარე:



რ.ბიწამე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

2800 ქ.ლანჩხუთი, კოსტავას N37 ტელ: 591.32.41.41

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის დასკვნა N40

ქ.ლანჩხუთი

12.04.2017 წ

2017 წლის 12 აპრილს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ჯემალ დობორჯგინიძისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.
2. დავით ასკურავასთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.
3. რევაზ როყვასთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.
4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსის რიცხული) ქონების ინვეტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქუჩა N62-ში მცხოვრებ თამარ დავითის- ასული ჭეიშვილის განცხადების შესახებ.

7. ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების შესახებ.

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

10. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე-კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება აღიძრას შუამდგომლობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ ჯემალ დობორჯგინიძისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე- კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება აღიძრას შუამდგომლობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ დავით ასკურავასთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე- კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება აღიძრას შუამდგომლობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ რევაზ როყვასთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე- კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსის რიცხული) ქონების ინვეტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე- კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე- კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღოს გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქუჩა N62-ში მცხოვრებ თამარ დავითის- ასული ჭეიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა ცნობად იქნას მიღებული.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე- კომისიის წევრების მიერ შენიშვნების გათვალისწინებით, სხდომამ მიიღოს გადაწყვეტილება ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა ცნობად იქნას მიღებული.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე-კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამა მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე-კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამა მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე:



რ.ბიჭაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

12.04.2017 წ.

1.	რომან ბიწაძე	
2.	გურამ კერესელიძე	<i>გ.კ.</i>
3.	ადამ ხუბუნაიშვილი	<i>ა.ხ.</i>
4.	ამირან ქანთარია	<i>ა.ქ.</i>
5.	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა
6.	იოსებ სარჯველაძე	<i>ი.ს.</i>